



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
675-14  
1980/2

# აკადემია

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

1. 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე


ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

---

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1980

ურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

**სპეციალისტი კოდეკსი:** ა. გუნია (რედაქტორი), ბ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. თოლუა, თ. ლილუაშვილი, ვ. მელქაძე, ი. მიქელაძე, ი. ფუტერაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილი), თ. წერეთელი, თ. ხოშტარია (რედაქტორის მოადგილი).

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гуния А. Л. (редактор), Гугушвили П. В., Долидзе И. С., Лилуашвили Т. С., Мелкадзе В. И., Микеладзе И. С., Путкарадзе Я. В., Тодуа Г. С., Хоштания Т. С. (зам. редактора), Церетели Т. В., Шавгулизе Т. Г. (зам. редактора).

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია  
Ответственный секретарь Шенгелия А. Л.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-95-46 телефон

---

ხელმოწერილია დასაბუჭიდად 7.5.80; შეკვ. № 61; ანაწყობის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>; მდგარების ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 9,8; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,7; ტირაჟი 1000;

ფასი 70 კაპ.

\*

გმომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ ვეკუ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## გ ი ნ ი ა რ ბ ი ს ა გ ა ნ

|   |     |
|---|-----|
| რედაქციისაგან   | 5   |
| <b>ა. გუნდის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერული საფუძვლების შესახებ</b>  | 7   |
| <b>ბ. ლიტერატურის, ახლა მოვლენები იმპერიალიზმის ეკონომიკაში</b>   | 16  |
| <b>გ. ჯიბუტი, შეცხოველობის საკვები ბაზის განვითარების საკითხისითვის</b>   | 31  |
| <b>დ. მიმღებადი, საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობის ზოგიერთ მსხვილ საწარმოთა შექმნის ისტორიიდან (დაკავშირებანი და მოგონებანი)</b>  | 40  |
| <b>ე. ჩოხოვაძემ, სპილენძ-პოლიტერალური მრეწველობის განვითარება რეფორმაციულ საქართველოში</b>  | 54  |
| <b>ლ. დათურაშვილი, მეპარუშუმების განვითარების პერსპექტივა რესპუბლიკაში</b>  | 69  |
| <b>ნ. დავლაბერიძემ, ანარქისტული მოძრაობის ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის დასწყისის საქართველოში</b>   | 78  |
| <b>თ. ბერიძემ, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და შიშანი სოციალიზმის ღრმის პერიოდი, სეინტოს ჩვეულებითი სამართლიდან — „მეცნიერულარ“ (სამართლებრივი ეთნოგრაფიული ნარკვევი)</b> | 87  |
|   | 101 |

## СОДЕРЖАНИЕ

|   |     |
|---|-----|
| <b>ОТ РЕДАКЦИИ</b>  | 5   |
| <b>А. ГУНИЯ, О научных основах экономического и социального развития Грузинской ССР</b>                               | 7   |
| <b>А. НУЦУБИДЗЕ, Новые явления в экономике империализма</b>   | 16  |
| <b>А. ДЖИБУТИ, К вопросу об упрочении кормовой базы животноводства</b>  | 31  |
| <b>И. МИКЕЛАДЗЕ, Из истории возникновения в Советской Грузии некоторых крупных производств тяжелой промышленности</b> | 40  |
| <b>А. ЧОГОВАДЗЕ, Развитие медно-полиметаллической промышленности в Грузии до реформы</b>                              | 54  |
| <b>Л. ДАТУНАШВИЛИ, Развитие шелководства республики з перспективе</b>   | 69  |
| <b>Н. ДАВЛАШЕРИДЗЕ, Некоторые вопросы анархистского движения в Грузии в начале XX века</b>                            | 78  |
| <b>Т. БЕРИДЗЕ, Эффективность и цель общественного производства при социализме</b>                                     | 87  |
| <b>М. КЕКЕЛИА, Из сваисского обычного права «stekular» (правово-этнографический очерк)</b>                            | 101 |

რედაქციისაგან

1980 წლიდან ცალკე გამოიცემა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციური „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერია. იგი წლიწადში ოთხჯერ გამოვა, 7 საავტორო თაბახის მოცულობით.

სერიის ძირითადი დანიშნულებაა გამოაქვეყნოს წერილები ეკონომიკისა და სამართლის მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებზე, ფართოდ გააშექოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების არსი და თეორიული მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობისათვის.

სამართლის დანგზი ვანხრახულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების საფუძველზე დამუშავდეს ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის უფლებიანობის ამაღლებისა და მმართველობის აპარატის სრულყოფის, საბჭოთა მოქადაქის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიების განვითარების საკითხები. ფართოდ გამუქდება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, სამოქადაქო სამართლისა და პროცესის, სამეურნეო და შრომის სამართლის, სისხლის სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, აგრეთვე დანაშაულის მიზეზებისა და მისა პროფილაქტიკის, დამააშავის პიროვნების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. დაიბეჭდება სტატიები, რომლებიც მიეძღვნება საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას. გარეუ-

ლი ადგილი დაეთმობა საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს.

სარედაქციო კოლეგია მიმართავს თხოვნით რესპუბლიკის სამეცნიერო და პედაგოგიურ საზოგადოებრიობას, სპეციალისტებს, წარმოების მუშაკებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჟურნალის მუშაობაში, მოგვაწოდონ სტატიები, მასალები, წინადაღებები, ინფორმაცია.

### ავტორთა საყურადღებოდ!

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები უნდა წარმოადგინოთ ორ ცალად. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების, ცხრილებისა და ლიგრამების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბაზს (40 ათასი ასონიშანი ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი 24 გვერდი).

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი (ჟურნალ „მაცნესათვის“).

სარედაქციო კოლეგია

## აპთანაზიან გურა

საქართველოს სსრ მკონომიგი და სოციალური განვითარების  
• მინისტრული საცუდცლების შინაგამი

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა რეალურ შესაბამის ძალები მეცნიერულად დასაბუთებულ, მაქსიმალურად მიახლოებულ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან დაგეგმვისათვის და პროგნოსტიკისათვის. ამის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებებზე სახა-გადამზადებრივი საკუთრება, სსრ კავშირის გადაქცევა ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსად.

აქედან გამომდინარე, ყველა მოქავშირე რესპუბლიკის ყოველმხრივი ეკონომიკური განვითარება სოციალისტური გაფართოებული აღწერმოების პროცესში გამოხატულებას პოლიტიკის მწარმებლურ ძალთა, ბუნებრივ სიძლიერეთა უფრო რაციონალურ და გეგმაზომიერ გამოყენებაში, შრომის სოციალისტური ტერიტორიული დანაწილების შემდგომ სრულყოფაში, ყველა ხალხის ურთიერთ შეთანხმებულ და გაერთიანებულ შრომაში, საერთო საკუთრო და ცალკე ყველა მოქავშირე რესპუბლიკის ინტერესების უფრო სწორ შეთანაწყობაში.

საბჭოთა სახელმწიფო იუნიტდა რა მსხვილი ეკონომიკური რეგონიებისა და მოქავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების ღონიერების გამოთანაბრების პირების ურთიერთურ ეკონომიკურ კანონის მოქმედებას, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეცნიერულად ასაბუთებდა, გეგმავდა და ახორციელებდა ყველა მოქავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას გამომდინარე ანსაბული პირობებიდან და შესაბლებლობებიდან, როგორც თვით რესპუბლიკებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ეს მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპი ყოველთვის თანსდევდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შეფარვის. ეს პრინციპი იყო ასახული პირველ ხუთწლიან გეგმაშიც, რომლის შილებიდან 50 წლისთვის აღინიშნა 1979 წელს. სახალხო მეურნეობის განვითარების დაცვებმა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერული და სოციალური მონაბოგარია. მაშინ კი უაღრესად დიდი როლი ენიჭება ხუთწლედებს.

ეს განსაკუთრებით მულავნდება რეალურ სოციალიზმის ეტაპზე. რაზედაც მითითებულია სკვპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში: „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტუანთობისა და შემუშაობის ხარისხის მაღლებაზე სამეცნიერო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. სკვპ ცენტრალური კომიტეტი სამეცნიერო მექანიზმის შემდგომ სრულყოფაში უპირველეს მიზენერლობას ანიჭებს სახელმწიფო მისი, უწინარეს ყოვლისა ხუთწლიანი გეგმის—როგორც პარტიის ეკონომიკური

ପେଣିଶ୍ରୀ କାନ୍ତିଲିଙ୍ଗ ପାତ୍ର ହେଉଥିଲା ଏହାର ମଧ୍ୟ ଦେଖିଲା କାନ୍ତିଲିଙ୍ଗ ପାତ୍ର ହେବାର ପାଇଁ ଏହାର ମଧ୍ୟ ଦେଖିଲା କାନ୍ତିଲିଙ୍ଗ ପାତ୍ର ହେବାର ପାଇଁ

ვ. ი. ლენინი 1919 წ. ამბობდა, რომ სოციალიზმი ეს საზოგადოებაა, რომელიც აღმოცენდა უშუალოდ კაპიტალიზმისაგან, ხოლო კომუნიზმი უფრო მაღალი საფუძველია, რომლის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ როდესაც სტულად განვიტაციება სოციალიზმი. განვითარებული სოციალიზმის პირობებში შექმნილია ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რომელიც შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ 1990 წ. ორჯერ მაინც განვითარებული ძირითადი საწარმოო ფონდები, ახლა კვეველი ათწლეულში ხდება წარმოებული პროდუქციის ძირებული განახლება. ამშინა სწორედ სოციალიზმისათვის დამახასიათებელი დინამიზმი რომელსაც არასოდეს არ ჰქონია ასეთი ძალა როგორც ახლა. სწორედ ამან განაპირობა თანამედროვე ერავზე კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემნებლობის პრატიკულად განხორციელება, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემსრულებელი სრულყოფა.

საბჭოთა კავშირის ერთობანი სახალხო მცურნეობრივი კომპლექსის ფუნქციონირებაში, მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდაში და განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ყველა მოქადაგირე რესპუბლიკის ეკონომიკის სრულყოფას, მრავალირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წარმოების ეფექტური მინიჭებას. განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე აღარა საკვარისი ფაქტიური ეკონომიკური თანაბრობა, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეების გამოთავასრიგა. ახლა უკვე მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს წინაშეც დგას უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა არსებული მწარმოებლური ძალების უფრო ეფექტური გამოყენების მხრივ. ჩვენ მერვე და მეცხრე ხუთწლედთან განსხვავდით, მეათე ხუთწლედში მივაღწიეთ იმას, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპები უფრო სწრაფი გვაქვს ვიზრე შესაბამისი საშუალო საკავშირო მაჩვენებლები, ასე მაგალითად, 1976—1980 წწ. შედევრების განვითარების წინამდებარები კოეფიციენტი უდრის 1,14, სოფლის მეურნეობისა 1,81. ზოლო ეროვნული შემოსავლის წარმოებისა — 1,27. ამრიგად, მეათე ხუთწლედის განხორციელების შედეგად შესამჩნევად ამაღლდება რესპუბლიკის ეკონომიკური დონე. ეს მნიშვნელოვანი წარმატება იქნება რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში. ამასთანავე საჭიროა, რომ ეროვნული შემოსავლის ზრდა მეტწილად ხდებოდეს, და ეს ყოველთვის დამახსიათებელი ტენდენცია იყოს, მატერიალური წარმოების საერთო, და კერძოდ მრეწველობის დარგების. განვითარებით რაც ეკონომიკური ზრდის მყარ საფორმელი წარმოადგენს.

ამჟამად საქართველოში, ისე როგორც მთლიანად კატებიში შეიძინება ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომლის ხანგრძლვი მოქმედდება კუნძულის ურად არ იქნება გამართლებული. სკოითხი ეხება იმას, რომ ძირითადი საწარმო ფონდების ზრდა წინ უსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ამ-სებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კი იძლევა იმის საშუალებას, რომ როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე მოკავშირე ჩესპერბლიკების, ან ცალკეულ კუნძულის რეგიონების მიხედვით უახლეს პერიოდში საგრა-რძნობლად ამაღლდეს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა, ეს კი კომუნიზმზე გადასვლის გადამწყვეტი პირობაა. სწორედ ესა აქვს შედელო-ბაში იმანავა ლ. ი. ბრეუნების როგორც ის აბბობს, რომ „განვითარებული სო-



ცალიშვილის ყველა შესაძლებლობის შეცნობა და გამოყენება ამავე დროს კომუნიზმის შშენებლობაზე გადასვლაც აჩის”.

ხუთწლედებმა უაღრესად დიდი როლი შეასრულეს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების ღონითა გამოთანაბრებაში. ხუთწლედების ისტორია, ეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მძღვრი საწარმოო ძალა შექმნის ისტორიაა.

განვითარებული სოციალურმა, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეების თვალსაზრისით იმით ხსნიათდება. რომ გამოითანაბრუა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური დონეები. ანუ იგი შეიძლება მიუახლოება ამტომალურ შეჩერებლებს. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა ნიშნავს, იმას, რომ თითოეულ რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოში, შრომის რაციონალური ტერიტორიული დანაწილების შესაბამისად შექმნილია მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი ინდუსტრია, შექანიშებული სოფლის მეურნეობა და მატერიალური წარმოების სხვა დარგები, უზრუნველყოფილია რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური განვითარება. ყველა რესპუბლიკაში ფაქტოურად თანაბარი პრობებია განაწილების პრინციპის სრული რეალიზაციისათვის, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების შევეობით მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნილებების დაქმაყოფა-ალებისათვის. საქართველოში, სევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, თანაბარი ეკონომიკური და მატერიალურ-ტექნიკური პირობებია შექმნილი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტინობისა და ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. რამდენად მაღალი იქნება ეს დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალურად იქნება გამოყენებულ ყველა ასებული შესაძლებლობანი. ამრიგად, განვითარებული სოციალურმა ეტაპზე გადაწყვეტილია ეროვნული ეკონომიკის ფაქტოურ უთანაპირობიან, რომელიც დამახსინათხებელი იყო 20-ანი და 30-იანი წლებისათვის, ფაქტოურ თანაბრნაზე გადასცლის პრობლემა, რომელიც ნათლად გამოიხატება ახალი კონსტიტუციის ეკონომიკურ სისტემის ასაში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ღონის შემჯგომი ამაღლება შესძლებამის საშუალო საკავშირო მონაცემებში — საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა შემდგომ ვანკოთარებულყოფი და გაღრმავებულყოფი შეცნერული კვლევა ეკონომიკურ კანონზომის მიერაცხოვებათა შეცნობისა და მათი სწორად გამოყენების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეინგბლობის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის სრულყოფის საკითხებზე. ამავე დროს ეკონომიკური მეცნიერება, კლევა ეკონომიკის დარგში უშესალიდა დაკავშირებული მეცნიერების განვითარებისთან. საქართველოში, მიუხედავად მაღალი მეცნიერული პოტენციალისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოხატება საცეცხლერო კადრების. მეცნიერების ეკონომიკური უზრუნველყოფა ჯერ კადვე მოითხოვს არსებო სრულყოფას, რათა დაძლევულ იქნეს ის განსხვავება, რომელიც არც ამ უზრუნველყოფის საშუალო საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებელთა შორის. ჯერ-ჯერობით მეცნიერული შრომის ეკონომიკური უზრუნველყოფა უფრო მეტად ხელფასს დანახარებში გამოიჩატება, ვიზრე დანახარებში სამეცნიერო დაწესებულებების, მეცნიერული შრომის ტექნიკურ აღჭრვილობაზე.

ქედან გამომდინარე, ჩევნის აზრით, კონომიკის დარღვი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის რეგიონალურ (საქართველოს სსრ) კონომიკურ პროცესთა კვლევა. მოწიფებული სოციალიზმი განვითარების ის ეტაპია როდესაც კონკრეტულად ხორციელდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა, ჩამოყალიბებულია სსრ კაშირის ერთანანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსი და მავნე დროს ყველა მსხვილი კონომიკური რაობის, მოკავშირე რესპუბლიკა თვითონ წარმოადგენს ერთან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსს და სსრ კაშირის ერთან სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ორგანულად შემაღებელ ნაწილს. ამასთანავე ყოველ მსხვილ კონომიკურ რაობის, მოკავშირე რესპუბლიკას გარევიული თავისებურებანი აქვს აღნიშნული ბაზის მშენებლობაში, როგორც მწარმოებლური ძალების, ისე საწარმოო ურთიერთობათა განვითარებაში, რომელნიც განპირობებულია მისი სტრონიული, ეროვნული, ბუნებრივი, კონომიკური

და სხვა თავისებურებებით და რომელიც აისახება როგორც მისი ეკონომიკის განვითარების, ისე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სპეციფიკურობაში. სწორედ ამ მთავარ სტრატეგიულ ხაზს უნდა ემსახურებოდეს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ეკონომიკის დაზღვი. ამავე უნდა ემსახურებოდეს ნებისმიერი ეკონომიკური პრობლემის მეცნიერული კვლევა მატერიალური წარმოების აგრძელება არაწარმოებრივი სფეროს დარგების მიხედვით.

აქ კი განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა კვლევას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების დამუშავებისას ამჟამად ძალიან იგრძნობა ის ნაკლებობა, რომელიც გამოწვეულია მეცნიერების ეკონომიკის, მეცნიერულ-კვლევითი შედეგების ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლისასთით. სრულიად მომწიფებულია დრო იმსათვის, რომ ფართოდ გაიშალოს ამ პრობლემების მეცნიერული ანალიზი. აუცილებელია შესწავლის იყოს როგორც საწარმოო ძალია აგრძელება საწარმოთა (მრეწველებური და სოფლისმეურნებრივი, ისე მატერიალური სფეროს სხვა დარგთა საწარმოების) ოპტიმალური გაადგილების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ბუნებრივ გარემოს დაცვის ეკონომიკის, კერძოდ, მიწის ფონდის, წყლის, ზღვის მეურნეობის, უნარჩენო წარმოების ტექნოლოგიის დამუშავებისა და სხვ. ეკონომიკის საკითხები. აღნიშნულ ეკონომიკურ პრობლემათა შესწავლა მოითხოვს მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო კადრების მომზადებას. ამსათვის კი რესპუბლიკაში საქამოო ძლიერი მეცნიერული ბაზაა შექმნილი. ფართოდაა გაშლილი ეკონომიკის დარგში სხვადასხვა სპეციალისტების მომზადება. საქამარისია აღნიშნოს, რომ ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური სპეციალობის ხუთი ფაკულტეტია: 1) ეკონომიკური, 2) სინერგიურ ეკონომიკური, 3) სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, 4) აღრიცხვის, 5) საქონელმცოდნეობის და ვაჭრობის ეკონომიკის, რომელიც ამზადება სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციურ კადრებს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში.

ამჟამად სკაპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში: „უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტური მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ (1979 წ ივლისი), ხაზგასმულია ეკონომიკური კადრების მომზადების ხარისხისა და სრუტებურის გაუმჯობესების, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სტუდენტთა თეორიული მომზადების დონის ამაღლების შესახებ.

ეპეს გარეშეა, რომ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ ლონისძებათა განხორციელება კადვე უფრო მნიშვნელოვნად ამაღლებს, როგორც ამ დარგის სპეციალისტების მომზადების, ისე ეკონომიკის დარგში მეცნიერულ-კვლევით მუშაობის დონეს.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში ახლა დასაქმებულია 13 თასზე მეტი ეკონომიკისტი თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, როგორც მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ისე დარგობრივი ინსტიტუტებში და საპროექტო ორგანიზაციებში ასებობდნენ ეკონომიკური განცოდილებები ან გეოფიზიკის, რომელიც ეშვეიან ამ ინსტიტუტის კოლექტივის მეცნიერული მოღვაწეობის, მათი შედეგების წარმოებაში დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზს.

ამჟამად რესპუბლიკაში 200-ზე მეტი სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის დაწარმეტლებაა, მაგრამ მათი მუშაობა უწყებრივია დაქვემდებარების გამო, ჩვე-

ნის აზრით, არ არის სათანადოდ ორგანიზებული. საკუთრივ მომწოდებული პირობები იმისათვის, რომ რესპუბლიკის განხორციელდეს აუნიშნულ კვლევით დაწესებულებათა მუშაობის გეგმაზომიცერი მართვა. ეს კ. უპირველეს ყოვლისა რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კომისიური პროგრამის განხორციელების ერთობლივ დამუშავებაში უნდა გამოიხატოს.

ფრიად საყურადღებოა და დღიდად საპასუხოსმგებლო ის. რომ სკოლ უ და საბჭოთა მთავრობის მიერ მეცნიერებათა აყადების, მეცნიერებისა და ტექნიკურ და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტებს დაევალოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომბლექსური პროგრამის დამუშავება 20 წლით. ეს ხელს შეუწყობს კონომიკური და სოციალური განვითარებას სუთურიანი გვგმის მყარი მეცნიერული საფუძვლის შექმნას.

განსაკუთრებით იზრდება სწავლული კონომისტების. პასუხისმგებლობა, ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით. უფრო ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი ის უდიდესი რაოდენობრივი და თვისიმატრიცა ცვლილებები. რომელიც მოხდა სოციალისტური კონომიკის განვითარებაში ამ სამოცა წლის მანძილზე. ამასთან კონსტიტუცია გვალებს, რომ უფრო ნათლად გვერდეთ იმ კონომიკურ მოვლენებში, რომლებც განვითარობენ ჩვენს განვითარებას მომავალში.

თანამედროვე ეტაპზე, განვითარებული სოციალიზმის პრობებში ფრიად ამაღლდა საერთოდ მეცნიერების, კერძოდ კი კონომიკური მეცნიერების ზემოქმედების ძალა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გარეაქციები. სადომი. ამაში მდგომარეობს მეცნიერების ამ დარგის, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთ-ერთი წამყვანი დარგის, მარქესიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი წყაროსა და შემაღებელი ნაწილის მნიშვნელობა. სკოლა კლევით პრობლემითა კომბლექსური დამუშავება, სადაც ასახება საქართველოს მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მდგომარეობა და მათი განვითარების ყველა ძირითადი საკითხი. ასე მაგალითად, ნაკლებად შესწავლება მატერიალური წარმოების ზოგიერთი დარგის კონომიკური პრობლემები (სათბობ-ენერგეტიკული, მეტალურგიული, სამორ მრეწველობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ქვედანარები), ფრენერობით სათანადო წარმოდგენა არა გვაქვს კულტურისა და განმრთელობის, საერთოდ მომსახურების სფეროს კონომიკზე (განათლების, განმრთელობის, კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების, კომუნალური მეურნეობის და სხვ.). რასაცემრველია სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დარგის კონომიკაში ვერ გვექნება ნათელი წარმოდგენა თუ ჩვენ უფრო ღრმად არ შევისწავლოთ კაპიტალურ დაბანდებათა კონომიკურ ეფექტიანობას. ეს აუცილებელია კავშირი იმისათვის, რომ გავაანალიზოთ საერთოდ სახალხო მეურნეობის და ერთობ მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა როგორც დარგთაშორისი, აგრეთვე შიდადარგობრივი სტრუქტურა, რომელიც კომბლექსურდა შესაძლებლა.

კონომიკურ სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგალი უკავია საქართველოს კონომიკური ზრდის ტემპების. ამ მიზანთულებით პრინციპული ცვლილებიცა კულტურულ უნდა ხორციელდებოდეს მანამ სანაზ საქართველო არ დაიკავებს სათანადო, მის მიერ დამსახურებულ ადგილს საშუალო საეკიპირო მაჩვენებლებში. ამასთან საჭიროა დაჩქარდეს მრეწველობასთან ერთად მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგების, კერძოდ სოფლის მეურნეობის,

შშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და სხვ. განვითარებაც. საქართველოს კონომიკა ეს კომპლექსური კონომიკაა, ამიტომ თანამედროვე პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია, ჩვენ არ შევიძლია დაუშვათ დისპროპორცია სახალხო მეურნეობის ცალკეულ რელიეფში, მისი რომელიმე დარგის განვითარებაში, ზედმეტად წინგასწრება ანდა ჩამორჩენა. ამაშია თანამედროვე ეტაპზე დინამიურობის, უწოდესწორებულობის, პროპორციულობის ასი კონომიკის განვითარებაში.

ამავე დროს ეს ფრიად საპასუხისმგებლო მოვალებას აკარგებს სწავლულ ეკონომისტებს, რაც პირველ რიგში გამოიხატება ეკონომიკური პროცესის ფლეის სიღრმისული მხარეების გაძლიერებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცევოდეს ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემათა დამუშავებას. არ არის გამართლებული ზოკვერთი შეხედულება იმის შესახებ კითომდა ფუნდამენტური პრობლემის კვლევა იქვევს ყურადღების გადატანას, მოწყვეტის პრაქტიკული საკითხებისაგან. პირიქით, გამოყიდილება გვიჩვენებს, რომ არც ერთი პრაქტიკული საკითხის ასუბითად გადაჭრა არ შეიძლება თუ მას შინ არ უძღვის ორორიული კვლევა. ამიტომ კვლევით მუშაობის ყურადღების ცენტრში ყოველთვის უნდა იყოს ორორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევა, ე. გ. შექმნილი უნდა იყოს მყარი თეორიული სამეცნიერო ბაზა, რომელიც ყოველთვის მტკიცე საფუძველს უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიკის კრძალ, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკურ პრობლემათა კვლევას. სისტემატურად უნდა იშლებოდეს მუშაობა ეკონომიკაში თეორიული აზრის განვითარებისათვის. ამაში კი მნიშვნელოვანი იდგილი ენიჭება კომპლექსური ეკონომიკური პროგრამების დამუშავებას. კვლევის თეორიული ღონის მაღლება შექმნის მყარ პირობას სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეცნიერული ღონის აზრობრივისათვის.

კვლევითი მუშაობის კოორდინაციას ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება.

მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემათა კვლევა მეცნიერების დიფერენციალურ მომენტების სამიზნო გარემონტინაციასთან დაკავშირდება; აქტუალურობის

რესპუბლიკაში ეკონომიკის დარგში ფუნდაციების მიერთებული კვლევა წინ უნდა უსტრიქირდეს გეგმურ შონახაზებს, ამაშია ამ მეცნიერების, მისი კვლევის შედეგების გავლენის არსი სახალხო მეურნეობის განვითარების (დაგეგმვა)ზე, მის მეცნიერულ დასაბუთებაზე. ჩევნ შზად უნდა ყიყოთ მისიათვის, რომ სწორიად (ოპტიმალურად) განვსაზღვროთ რესპუბლიკის მწარმოებლურ ძალთა განვითარების პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტილი უნდა იყოს, როგორც 1990—2000 წწ. ისე უფრო შორეული მომავლისათვის. ფუნდაციების მიერთებულ თეორიულ პრობლემათა კვლევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკური მეცნიერების წარმოებასთან კავშირი, კვლევის ახალი მეთოდების და ხერხების გამოყენება, რომლებიც საშუალებას ქმნიან ეკონომიკური პროცესების უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის, არსებოთი მნიშვნელობა ენცეპა ფუნდაციების და გამოყენებითი კვლევის სწორ, ოპტიმალურ შეფარდებას. თანამედროვე ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს თეორიულ პრობლემათა, მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა და მათი პრაქტიკული გამოყენების ორგანული შერწყმა. სწორედ ესაა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის აუკილებელი პირობა.

დღეისათვის ეკონომიკური კვლევის სიღრმისეული მხარეების გაძლიერებისათვის აღარაა საყმარისი სა სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც ჩვენ ვებულობთ სტატისტიკური ორგანოებიდან, განსაკუთრებით მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის დარგში, წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტურიანობის შესახებ, არა ვადეს ძირითადი ეკონომიკური მონაცემების, ღირებულებითი ასახვა რაობონულ ჭრილში.

და პროცესები, როგორც დარგობრივ, ისე ტერიტორიულ კრილში. ეს ეხება, როგორც მატერიალური წარმოების სფეროს დარგებს, ისე არაწარმოებრივ დარგებსაც. განსაკუთრებული უზრადლება უნდა მიექცეს ეფექტიანობისა და ხარისხის გაჩვენებლებს. ამასთანავე ეკონომიკური ინფორმაცია უნდა იყოს სწორი, ობიექტური, მეცნიერული დასაბუთებული. ამ საკითხში დაუშვებელია უზუსტობა, უპასუხისმგებლობა. არაოპერატიულობა და განსაკუთრებით, მონაცემების ფალსიფიკაცია.

ობიექტური მონაცემები ეკონომიკური პროცესების მეცნიერული ანალიზის და მისი შედეგების საფუძველია.

А. Л. ГУНИЯ

## О НАУЧНЫХ ОСНОВАХ ЭКОНОМИЧЕСКОГО И СОЦИАЛЬНОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В статье рассматриваются некоторые региональные вопросы развития экономики Грузии на современном этапе. Обращается внимание на необходимость расширения научно-исследовательской работы по наиболее актуальным проблемам экономики.

К подобным проблемам автор относит исследование региональных особенностей строительства материально-технической базы коммунизма, и прежде всего, экономических проблем научно-технического прогресса в Грузинской ССР.

### პარლონ წევაზიშვილი

ახალი მოვლენები იმპერიალიზმის მკონომიდამი

კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა განვითარებამ კაპიტალიზმი მონოპოლისტურ გაერთიანებათა ფაზაშდე მიიყვანა, ამავე მიზეზით მონოპოლისტური კაპიტალიზმი სახელმწიფო ბრძოლის-მონოპოლისტურს გადაეზრდა, რაც უკონიმური ცვლილებებით და ახალი მოვლენებით აღინიშნა. ცვლილებები განიცადა კაპიტალიზმის წინათ ცწობილია ეკონომიკურის კატეგორიებაც, თუმცა ამ ცვლილებებს თვით კაპიტალიზმის ბუნება, მისი არსი არ შეუცვლია, როგორც ამის შესახებ მსჯელობენ თანამედროვე იმპერიალიზმის ცდელობები. მხედველობაში გვაქვს მონოპოლიზმი, რომლებმაც ამჟამად რამდენადმე სხვა ხასიათი მიიღეს, შეიცვალა ზოგიერთი მათგანის ფორმა, მაგრამ ამავე დროს, მონოპოლია კაპიტალიზმის კიდევ უფრო მძლავრი ეკონომიკური ბაზა გახდა.

ერთ დროს, ე. ი. იმპერიალიზმის პირველ ხანებში, კაპიტალიზმის მთავარ ეკონომიკურ საფუძველს საერთოდ, როგორც სპეციფიკური ფორმაც არ უნდა ჰქონოდა მას, მრეწველური მონოპოლია წარმოადგენდა, საბანკო კაპიტალის ფუნქციონირებასაც უმთავრესად მრეწველობაში, ისიც მხოლოდ მცირე რაოდენობის მოპოებითი და დამზუშვებელი მრეწველობის დარგებში ჰქონდა ადგილი.

შემდეგში სამრეწველო მონოპოლიზმა აშ სახითაც კი, განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ მათ შექმნეს ცველა სახის კაპიტალისტურის გაერთიანებები, ე. ი. სოფლის მეურნეობაც დადგა მონოპოლისტურ განვითარების გზას.

თუ წინათ სოფლის მეურნეობის მხოლოდ ინტენსიურ დარგებში მოქმედდენ მონოპოლიები საგამასალებლო ოპერაციების დასაპყრობად, რაც წერილ და საშუალო მწარმოებელთა განანაგებას იწვევდა, ახლა სოფლის წეურნეობაში შეიტრნენ და ფართო საქმიანობას ეწვევიან საწარმოო ხასიათის მონოპოლიები. მსხვილი და უმსხვილესი ფურმერი, მაგალითად, აშშ-ი ამავე დროს მსხვილი მონოპოლისტიც არის, ხოლო მისი გაერთიანება ამა თუ იმ ფორმით სხვა არა ნაკლებ მძლავრ ფურმერთან გასაღების ბაზრისა და სხვათა მოპოების მიზნით, საწარმოო ხასიათის მონოპოლიის ტიპიურ განსახიერებად გვინდინება.

აშშ-ი სოფლის მეურნეობის საწარმოების ახალ ფორმას წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო კორპორაციები, კარტელები, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები, კოოპერატივები და სხვ. აღნიშნულ გაერთიანებათა ცველა ფორმა კაპიტალისტურ საწყისებზე მოქმედებს. მეცნიერულ-ტექნიკური ჩევროლუციის მსელელობაში აშშ-ის სოფლის მეურნეობამ ინდუსტრიული ხასიათი მიიღო, დიდად ამაღლდა მისი ტექნიკური აღძურვილობა. მაგალითად, აშშ-ის სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულ მუშაქშე გაანგარიშებით

სატრაქტორო პარკი 1950 წლის 9,4 ცხენის ძალიდან გადიდდა 51,8 ცხენის ძალად 1976 წელს. მექანიკური ძრავებით ალჭერელობის მხრივ ერთ დასაქმებულ მუშავე აშშ-ის სოფლის მეურეობაში მნიშვნელოვნად გაუსწრო დამტეშვებელ შრეწველობას.

აშშ-ის სოფლის მეურეობის საწარმოო ძალთა განვითარებაში მჩრდებულობის დონეზე გამოიწვია ის, რომ საზოგადოებრივი წარმოების ამ დარგმა დაკარგვა დამოუკიდებლობა და დარგთა მოელ კომპლექსის შემაღერელ ნაწილის იქცა, რომლის სახელწოდებაც არის აგრძიშვერი, აგრძისამრეწველო კომპლექსი და სხვ.

აგრძარულ-სამრეწველო კომპლექსი დარგთა სამ ჯგუფს მოიცავს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის მჩრდებულობა, რომელიც სოფლის მეურეობისათვეს აზხალებს წარმოების საშუალებებს, იგი აგრეთვე მოიცავს ტრანსპორტს: მეორე, ეს არის საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოება; მესამე, ეს არის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება და მზა პროდუქციის ჩეა-ლიზაცია.

დარგთა სამიერ ჯგუფი რომლისაგანაც ქვეყნის აგრო-სამრეწველო კომპლექსი შედგება, ჯერ ერთი, დიდ შესაძლებლობას ქმნის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისა და აუტომატიზაციის ასამაღლებლად. მეორეც, იგი მაქსიმალურად დღიდებს შრომის ნაკონფიგურებას, რის შედეგადაც მცირდება სასოფლო-სამეურნეო მუშაობა რიცხვი.

მაგალითად, 1950 წლიდან 1976 წლამდე ამ ქვეყნის სოფლის მეურეობის პროდუქციის წარმოება გადიდდა 1.5-ჯერ. სოფლის მეურეობაში დასაქმებულ მუშაობა რიცხვი კი — 9,9 მლნ-დან შემცირდა 4,4 მლნ-დდე, ე. ი. 2.3-ჯერ<sup>1</sup>.

კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, მისი ორგანული შედგენილობის ამაღლება აშშ-ი და სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სავსებოთ ახლებურად აყვნებს აბსოლუტური რენტის საკითხს. ზოგიერთი ეკონომისტი ამ მონაცემების მიხედვით აბსოლუტური რენტის საკეთო უარყოფს კაპიტალიზმის პროცესში, რაც რა თქმ უნდა, სწორი არ არის.

აღსანიშვანია, რომ უკანასკნელ ათეულ წლების განვითარებაში მონაცოლიზაციის პროცესი ღრმად შეცერა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც — ტრანსპორტში, ვაკრძაბში და სხვ.

ყოველივე ამას ობიექტური, კანონმდებრი საფუძველი აქვს, რაც მდგომარეობს საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესის შედგომ გაძლიერებაში, წარმოებისა და წრომის აბსაზოგადოების კიდევ უფრო ამაღლებაში.

იმპერიალიზმის უკანასკნელი, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგი პერიოდის მონოპოლიები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ქველი მონოპოლიებისაგან. ეს განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობის მათ სიღიდვეში და ფუნქციონირების ხსიათში. სათანადო მონაცემებით დასტურდება, რომ თითოეული მონოპოლიის ფარგლებში გიგანტურად გაიზარდა კონცენტრაციის დონე, თანამედროვე გიგანტი მონოპოლიები თავიანთი ხელ-

<sup>1</sup> Мировая экономика, М., 1978, с. 214.

2. „მაცნე“, ეკონომიკა და სამართლის სერია № 1

მძღვანელი აპარატებით და შმართველი ორგანოებით მთელ იმპერიებს წარმოადგენენ. მაგალითად, „ჯენერალ მოტორზი“ მარტო თავის ქვეყნიაში, აშშ-ი 127 ქარხანას ფლობს, ქვეყნის გარეთ კი — 45 ქარხანას. ამ ქარხებში მუშაობენ 700 ათასზე მეტი დაქინებული მუშები. ამ გიგანტი მონოპოლის წლიური გაყიდვის ჯამი აღმატება ისეთი ქვეყნის მთლიანი ნაციონალური ჟემოსაცლის მოცულობას, როგორიც არის ჰოლანდია. 1973 წლის მონაცემების მიხედვით, „ჯენერალ მოტორზის“ აქტივი 20,3 მლრდ ლოდას შეადგენდა. წლიური გაყიდვის ჯამი 35,8 მლრდს, წმინდა ჟემოსაცლი 2,4 მლრდ ლოდას. ასეთი უმსხვილესი, გიგანტური მონოპოლიების რაოდენობა აშშ-ი 1973 წელს 159-ს უდრიდა. მსაგას მდგომარეობას აღილი აქცის ინგლისში. საფრანგეთში, ფრანში, იტალიაში და სხვ.

მონოპოლიების ასეთი გიგანტური ზრდის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მონოპოლიების ურთიერთ შეერთება, შეტყუჩა, აგრეთვე ურთიერთ შეანთქმა, აქტიურ როლს ასრულებს ექსპანსია ტრადიციულ ბაზებზე, აյ მონოპოლიები განსაუთრებული ძალადობის წესით მოქმედებენ. მონოპოლის დონე საზოგადოებრივ წარმოებაში განსაზღვრება არა მარტო მისი აბსოლუტური სიდიდით, არამედ იმითაც, თუ როგორია მის ხელში თავმოყრილი დარგბრივი და საერთო სამრეწველო წარმოების შეფარდებითი წილი. მაგალითად, აშშ-ის 500 მსხვილი კორპორაციიდან პირველი 100 უმსხვილესი კორპორაციის წილად მოდის წარმოებული ღირებულების 1/3, მას ეკუთვნის დამშვიდვებელი მრეწველობის, მთელი აქტივის თითქმის ნახევარი. ამ მაჩვენებლების მხრივ დამშვიდვებელი მრეწველობის დარგები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უკელავ უფრო მონოპოლიზებული დარგებია საავტომობილო, ფოლადის-გამოწვიობის, ალუმინის, ელექტრომოწყობილობის, ნავთობის, ქიმიური და სხვ. დარგები.

მრეწველობის თითოეულ ამ დარგში არა უმეტეს ოთხი გიგანტი კორპორაცია, რომელიც კონტროლს უჭიებს დარგის წარმოების 75—100%-ს. მაგალითად, ალუმინის წარმოებაში პროდუქტის წარმოების 90% თავმოყრილია სამი გიგანტი კორპორაციის ხელში, ასეთი მდგომარეობაა აქტივმობილების, ლოკომოტივების, ელექტროლაბორატორიების და სხვ. წარმოების დარგებში.

100 უმსხვილესი კორპორაციის წილი ინგლისის დამშვიდვებელ მრეწველობაში დარგის საერთო ბრუნვაში 1970 წელს 50%-ს უდრიდა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმავე რაოდენობის კორპორაციების წილი უდრიდა 50%-ს. საფრანგეთსა და იტალიაში ეს მონაცემი ნაკლები არ არის, თუ მეტი არა.

კაპიტალიზმის უკანასკნელი პერიოდი ხასიათდება კონცენტრაციის პროცესის როგორც სიგანით ისე სილრმისეული განვითარებით. კონცენტრაცია სიგანით მოასწავებს შრომის ახალ სფეროსა და ტერიტორიის გაფართოებას; სილრმით — წარმოებისა და კაპიტალის განსაზოგადოების მონოპოლისტური ფორმების წარმოქმნას.

როგორც სიგანით ისე სილრმით კონცენტრაციის პროცესის შედეგი კაპიტალისტური ეკონომიკის მონოპოლიზაციის საერთო სურათის შეცვლა. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმს უმეტესად კერძო მეწარმეობა ახასიათებდა, სჭარბობდა წვრილი და საშუალო საწარმოები, აგრეთვე მოქმედებლენენ მსხვილი ინდივიდუალური საწარმოები. მათ ბაზაზე წარმოსდგნენ სხვადასხვა სახის მონოპოლისტური გაერთიანებე-

ზი, ტიპიურს წარმოადგენდა მონოპოლია წარმოების ერთ დარგში. ასეთი, ე. წ. დარგობრივი მონოპოლია დარგის შეგნით ნაკლებად განცდიდა კონკურენციას. იგი თითქმის მთლიანად უშევდა კონტროლს თავისი დარგის წარმოებას და სათანადო პროდუქტად გასაღების ბაზარს.

XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ი იყო 78 კონცერნი, რომელთაგან თოთოეული კონტროლს უშევდა თავისი დარგის წარმოების ნახევარზე მცტს. ამასთან 8 კონცერნი მთლიანად უშევდა კონტროლს წარმოებას<sup>2</sup>. ასეთი მდგრძალება კარგა ხასი გრძელდებოდა.

მაგრამ მონოპოლისტური ბატონობის სურათი თანდათანობით შეცემა. ტიპურ მონოპოლიებს წარმოადგენდნენ არა მარტო ერთი, არამედ მრავალი დარგის მონოპოლიები, ე. ი. ერთ დარგში შეიტანა მრავალი მონოპოლია. ამან მკეთრად დარღვეა წინანდელი, ერთი დარგის მონოპოლის „სპეციფიკა“, ერთ დარგში მრავალ მონოპოლიას შორის გამჭვივდა როგორც აშარა ისე ფარული ბრძოლა, როგორც ფასების განსაზღვრის, ისე ბაზრების დაყრიბისა და ხედლი მასალის შეძენისათვის.

როც იყო გამოწვეული ეს ცვლილება? იგი გამოწვეული იყო ერთი მხრივ, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღლებით, რომელიც გარდუვალად წარმოშობდა ახალ მონოპოლიებს, მეორე მხრივ, კი ამ დარგში მაღალი მოვალეობის შესაბამის შესაბამისობით, რომელიც წარმოადგენდა ერთი რომელიმე გვაგანტის მონოპოლიური მდგრძალებობით. ეს იზიდავდა ამ დარგში მსხვილ კაპიტალს გარედან, რომელებსაც შეეძლოთ აგრეთვე პრატენდია განეცხადებით მაღალ მონოპოლიურ მოგებაზე. ამით აისანება ის, რომ შეგალითად, აშშ-ი 1950-იან წლებში არ არსებობდა არც ერთი მონოპოლია, რომელის კონტროლურებზე დარგის მთელი წარმოება ყოფილიყო. ახლა უკვე თითქმის იშვიათა ისეთი შემთხვევა, რომ ერთი რომელიმე მონოპოლია მთლიანად უშევდეს კონტროლს ერთი რომელიმე პროდუქტის წარმოებას და გასაღების ბაზარს. მართალია, აშშ-ის კორპორაცია „ფენერალ ელექტრიკი“, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის მთლიანად უშევს კონტროლს ელექტრონაურების წარმოებას და გასაღებას, აგრეთვე „ვესტერნ ელექტრიკი“ თვითონ ეშვეა ტელეფონის მთელი მოწყობილობის წარმოებას და გასაღებას, ასევე შეიძლება ითქვას „ფენერალ მოტორზის“ და სხვ. შესახებ, მაგრამ ეს არის გამონაცვლისა და არა ტიპიური შემთხვევა. ამგვარად, ერთ დარგში რამდენიმე მონოპოლიის წარმოებში წარმოებისა და ბაზრის კონტროლს არ შეიძლება პენდენციალური მონოპოლიის ხასიათი, კონტროლი ნაწილდება რამდენიმე გიგანტ მონოპოლიას შორის.

როგორია მდგომარეობა დარგთაშორის მონოპოლიებს შორის? როგორ უთანასწილებიან, ან უთანასწილებიან თუ არა ისინი ერთმანეთს? მონოპოლიებს, რომლებიც თავიანთი პროდუქტის ჩეალიზაციას ეწევიან სხვა სფეროებში, საქმე აქვთ როგორც წვრილ და საშუალო ისე უმძლავერს ფირმებთან. მაგალითად, ფოლადგამომდნობი დარგის კორპორაციების პროდუქციის მთავარ მომარტინებელს წარმოადგენენ სავტომობილო, ვიზუალურობის და ტელესკოპობრივის მონოპოლიები, ამავე დროს შათ კაშირურთიერთობა აქვთ წვრილ და საშუალო მონოპოლიებთანაც.



· მეგვარად, პრაქტიკულად ერთმანეთის პირისპირ დგანან მონოპოლიები და „მონოპოლიათა მონოპოლიები“, რაც მონოპოლიების ბატონობის ტიპიურ ფორმას წარმოადგენს. ეს ფორმა თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ოლიგოპოლიოის სახელწოლებით, რომლის აღ-ტორად მაჩინულია ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი ე. ჩამბირონი.

ე. ჩემშერლინის მიხედვით, ოლიგოპოლოგის ძირითადი დანიშნულება მცველირეობს გვიჩვენოს კონკურენციის სრული შეუძლებლობა ერთი მონოპოლის ბატონობის პირობებში, რაც შეეხება თვით ოლიგოპოლოგის, ანუ მრავალ მონოპოლიას, აქ კონკურენცია შეიძლება არსებობდეს გარკვეული ზომით. საბოლოო ანგარიშით, ოლიგოპოლია საერთოდ უარყოფს მონოპოლიზმს. მისი შედეგებით და ძირითადი კონომიკური ნიშნებით.

კპიტულიზმის მონაბოლისტური სისტემის უარყოფა თანამედროვე ბურ-ეუაზრული ეკონომისტების გაფრცელებული შეხედულებაა, როთაც ისინი დაიღმინებ ჩრდილი მიაყენონ იმპერიალიზმის ლენინურ თორობას.

მონიკოლისტური სისტემის უარყოფით ბურუჟაზეული ეკონომისტები და სოციოლოგები უარყოფენ კპიტალიზმის მომავალობის, სიღამპლის, პარაზიტიზმის ლენინურ გვევას, უარყოფენ იმას, რომ იმპერიალიზმი არის სოციალ-სტური რევოლუციის წინააღმდე, უარყოფენ იმპერიალიზმის ისტორიულ აღვილს.

ტერმინი „ოლიგოპოლოგია“ იქმარება საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში, მაგრამ აյ მას სხვა მნიშვნელობა აქვს, სახელმობრ, მისი საშუალებით განვითარებული ფორმების ანალიზს, რომელშიც განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის მონოპოლია გვივლონება.

ჩვენი გაგებით ოლიგოპოლიაში იგულისხმება ისეთი მდგრადარება, თანა-  
მდგრადი კაპიტალისტურ ეკონომიკაში, რომა წამყენ დარგებში ბატონობს  
არა ერთი, არამედ მრავალი მსხვილი კომპანია, რომელთა შორისაც ასებობს  
უფროირთ შეჯახება. ისინი ერთობლივ გვუფურ ბატონობას ახორციელებენ  
ბაზარზე.

საკროდ, თანამედროვე კაბიტალიზმს ახასიათებს მონოპოლიების მფული ქსელის შექმნა, ეკონომიკის მონოპოლიზაციის გარემოება. ამასთან საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ მონოპოლიების ზრდასთან ერთად აღვილი აქვთ ცლოლებებს მათ ფორმიზმშიც.

როგორც ცნობილია, ჯერ კადევ XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკურ ღირებულებურაში საკმაოდ იყო აღწერილი მონოპოლიების ისეთი ფორმები, როგორებაც — კარტელები, სინტეგრაციები, ტრაქციები, კონკრეტნები და სხვ.

მთელ რიც ქვეყნებში სახელმწიფოს ეკუთვნის სახალხო მეურნეობის მთელი რაიგი დარჩები და საწარმოები. ეს გარემოება დიდ გავლენას ახდენს საერთოდ მონაცემლიერების ახალი ფორმების წარმოშობაზე და ძველი მონაცემლიერების ახალი თვისებებით და თავისებურებებით აღჭურვაზე, სერიოზულ ცელის პრეცესს აქვს აღილი სამრეწველო კომპანიების ორგანიზაციულ სტრუქტურშიც.

ავილოთ, მაგალითად, კარტელი. როგორც ცნობილია, კარტელი მონოპოლის ერთ-ერთი პირვანდელი ფორმაა, რომელიც ესახურებოდა მრავალსაჭიროების შორის სათანადო საქონელზე ერთიანი ფასების დაწესების, ბაზრების ვანაჭილების, კრიზისების დროს კვოტირების გზით წარმოებას რამდენადმე შეკვეცის ამოცას და სხვ. ამ დანიშნულების კარტელების სამშობლოდ გრძელდა ითვლებოდა, სადაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წარმოიშვნენ და განვითარდნენ ისინი. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი სწორება აქტან იწყებს მონოპოლიების ისტორიას და მათი საქმიანობის შედეგებს. ის დროს, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, მონოპოლიები მხოლოდ ორნავ შესამჩნევ ჩანასახს წარმოადგენდნენ. შემდეგ იწყება კარტელების განვითარების ფართო ზოლი, თუმცა ისინი ჭრ კიდევ გამონაკლისს წარმოადგენდნენ და ამ იყვნენ მტკიცენ. კარტელების მთელი სამეცნიერო ცხოვრების ერთ-ერთ საფუძვლად მხოლოდ 1900—1903 წლებში იქცნენ, როცა კაბიტალიზმი მისი უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის ეპოქის შვავე ეკინომიკური კრიზისების მარწმუნებში მოექცა. ამ დროს კატელი უთანხმდებოდნენ<sup>6</sup> ერთმანეთს გაყიდვის პირობების, გადახილის ვალებისა და სხვ. შესახებ. ისინი ურთიერთშორის იყოფდნენ გასაღების სფეროებს, განსაზღვრავდნენ და მართავდნენ პროდუქტთა რაოდნობას, აწესებდნენ ფასებს, ანწილებდნენ მოგებას ცალკეულ საწირმოთა შორის და სხვ. მიუხედავად ამისა, ამ შეძლება ითქვეს, რომ კარტელები ყოველთვის ინარჩუნებდნენ დამოუკიდებელ არსებობას, პირებთ, ბევრი მთვანი შვავე კონკურენციისა და კრიზისების პირობებში იშლებოდნენ და ხელახლა ასადგბოდნენ ახალ საფუძვლო სტრუქტურებს. ასეთ მდგომარეობას მასობრივად ჰქონდა 1929—1933 წლების ეკინომიკური კრიზისების დროს.

შეიძლო მსოფლიო ომის შემდეგ კარტელებისა ნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს, რაც იმაში მღვმარეობს, რომ კარტელურ შეთანხმებებს ახლა აუგილი აქვთ არა მარტო ცალკეულ საწარმოებს შორის, არამედ უმცრესად ტრესტებსა და კონცერნებს შორის, მაგრამ ფარტელში ახლა ერთიანდება რამდენიმე მსხვილი მონიკოლია, რომლებიც მშაბებენ არა ერთს, არამედ 2-3 ჯგუფის საწონეოს.

შინათ შეთანხმებათა კარტლური ფორმიდან წარმოსდგებოდნენ მონოპოლების უფრო მაღალი ფორმები — ტესტები და კონცერნები, ასლა კი, პირიქით, ტრესტები და კონცერნები ერთგვარ წანამძღვრს წარმოადგენენ კარტლების შესაქმნელად ახალ საჯარებელზე.

კარტელი წინათ მონოპოლიური გაერთიანების დაბალ ფორმაზე წარმოადგნდა, ახლა კი, იგი როგორც წესი, მონოპოლისტური ორგანიზაციის უფრო მაღალ ტიპს წარმოადგენს, ვიდრე ტრესტი და კონცერნი. მონოპოლიის კარტელური ფორმა მონოპოლიების სხვა „შემოწმებულ“ ფორმებს შორის წინაპლანზე წარმოიშვია. როგორც ვხედავთ, კარტელმა დადა უპირატესობა მიიღო.

რით აიტანება კარტელის ფორმის ასეთი კვლილება და მასი უპირატესი

როლი? რომ განაპირობა იყო? ეს იმით აიხსნება, რომ კარტელი ახლა უფრო შეტად პასუხობს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების ორგანიზაციის მოთხოვნებს, გასაღების პირობებს და, შაბაზადამე, კაპიტალისტურ კონკურენციას, იგი უფრო „გამძლე“ აღმოჩნდა კონურენციაში. ცალკეული ფორმების, კარტელური ტიპის გაერთიანებათა შეთანხმებების საწარმოო და კომუნიკაციული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, უფრო მეტ მოქნილ ფორმას აღლებს თანამედროვე კარტელებს, რომლებიც უფრო მოხერხებულად ვგვა-  
ზიან წარმოებისა და გასაღების შეცვლილ პირობებს და ვთარებას.<sup>3</sup>

როვორც გეედავთ, თანამედროვე კარტელური ძირულად განსხვავდებიან წილადშეული კარტელებისაგან. მარტო ის რად ღირს, რომ ისინი უარისად მსხვილები არიან, აქვთ უფრო ფართო საქმიანობის სფერო. თანამედროვე კარტელების არსებოთ თავისებურებას წარმოადგენს საწარმოო და კომერციული ინფორმაციის ფირთო ურთიერთობაცულა, აქციონერულ საწყისებზე მეცნიერული საგამოკვლევო ცენტრების შექმნა, საბაზრო კონიუნქტურის შესწავლა და სხვ.

შეიძლება ასეთი დიდი როლისა და მნიშვნელობისა, კარტელები ყველგან როდი პოლიტიკურ გარეულებას, ზოგიერთ ქვეყანაში ისინი, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, აქტალულიც კი არის. კარტელების კლასურ ქვეყანად დღესაც ჩეხება გურმანიის ფალერაციული რესპუბლიკა, აგრე-  
თვე აზელისი, საფრანგეთი და სხვ.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს შეხედულება, თითქოს წეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთოდ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაცვა კარტელების როლი, რომ კარტელური შეთანხმებები წარსულს ჩაბარ-  
და და სხვ<sup>4</sup>.

ამის მიხედვით თითქოს ის არის, რომ ისინი აღმაჩნდნენ წინააღმდევობაში გაზრდილ კონურენციასთან პროცესის ასორტიმენტისა და ხარისხის მი-  
ხედით, რომ თითქოს კარტელები ხელს უწყობდნენ ტექნიკურად ჩამორჩენი-  
ლი ფირმების შენარჩუნებას და გარკვეული ზომით ამჟამურებდნენ კონცენ-  
ტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს დარეცხის ფარგლებში. აღნიშნული  
მიზეზებით თანამედროვე კარტელების როლის დაცემის ასწან სრულებით არ  
შეეფერდა სინამდვილეს.

როვორც აღნიშნეთ, თანამედროვე კარტელები სულ სხვა საფუძველს დევარებით, სხვა მიზნებით და დანიშნულებით მოღვაწეობენ. ისინი ზოგჯერ აშეარღულ ზოგჯერ ფართულად მოქმედებენ, შეიცვალა მათი ფორმა და სხვ. ეს არის ახალი მოვლენა კარტელების ტეორებაში, რაც მოითხოვს შესწავლას. უამისოდ კი თქმა, გაქრა კარტელები — არ შეეფერდა სინამდვილეს, არა სწორად აფასებს თანამედროვე კაპიტალიზმის კონკრეტურ პირობებს. სამ-  
წეხარის, პოლიტიკური ეკონომიკის კურსის შეაღლების ღრმას, აღნიშნული  
ცვლილებები და ახალი მოვლენები კარტელების საქმიანობაში ნაკლებად არის გათვალისწინებული, რაც არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. კარტელები არ წარმოადგენ გამონაკლისს. ცვლილებებს დაგვილი აქვს მო-

<sup>3</sup> В. С. Торкановский. Новые явления и развития монополистического капитала, М., 1973, с. 106.

<sup>4</sup> Ленинская теория империализма и современность, М., 1977, с. 44.

ნოპოლეონის სხვა ფორმებშიც. ავილოთ, მაგალითად, კონცერნი. მონოპოლიას ეს ფორმაც მთელი რიგი ახალი მოცულენით ხასიათდება.

სიახლე კონცერნის ევოლუციაში ის არის, რომ მასში ერთიანდებიან არა მარტო ცალკეული საწარმოები, არამედ გაერთიანებანი, კომბინატურის, კომპანიების, მათ ფილიალების სახით. ამასთან ეს გაერთიანებანი არ მიეკუთვნებიან წარმოების ერთ რომელიმე დარღს, არამედ წარმოალგენენ რამ-ჟენიე დარღს ერთდროულად.

მაგალითად, წინანდელ კონცერნთან შედარებით ახლანდელი კონცერნი აერთიანებს მრეწველობისა და სავჭრო კომპანიების ჯგუფებს და სხვა სპეციალიზირებულ ერთეულებს, რომლებიც ოუმტა დაკავშირებული არიან ერთ-მანეთონ ერთიანი ფინანსური ინტერესებით, ნაგრძო სხვა მხრივ შორს დგანან ერთმანეთისაგან ან აქვთ ძლიერ შორეული ტექნოლოგიური კავშირი. ასეთებით, მაგალითად, მრეწველური და სავჭრო კომპანიების გარდა სატრანსპორტო, მომსახურე და ფინანსური საწარმოები, აგრეთვე ფილიალები. როგორც ვხედავთ, კონცერნი უმსხვილესი მრავალდარგოვანი მონოპოლისტური გაერთიანებაა, დიდი მრეწველური კომპლექსია, რომლის საქმიანობაც მოელ კავიტალისტურ მსოფლიოს წყდება.

თანამედროვე კონცერნები წარმოების პროცესის გარდა დიდ ყურადღებას უთმობენ ოპერატორულ-სამეურნეო საქმიანობის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის მუთოდების ოპტიმალურ შერწყმას, ენერგეტიკული სიმძლავრეების გამოყენებას, სამეცნიერო-საგარმოკულევო ინსტიტუტების კვალიფიციური საინიციარო-ტექნიკური კადრების მომზადებას და სხვ.

გარდა სიდიდისა, თანამედროვე კონცერნების დამახსიათებელ ნიშანს წარმოადგენს შეთანხმება უმსხვილეს მონოპოლიებთან, როგორც ცალკეული დარგების, ისე მთელი სახალხო შეურნეობრივი და სერტიფიცირებული მართვით. ამ შემთხვევაში მთავარი მიზანი არის პროდუქტების კონცერნცია (ხარისხი და სხვ.) და კონცურრენცია პროდუქტების ბაზარზე (რეკლამები, გასაღების ორგანიზაცია და სხვ.).

ამ შემთხვევაში მიმრთავენ ისეთ მეთოდებს, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული წარმოებასთან ან რეალიზაციასთან. მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ფინანსური მცენაცია და სპეცუალური, სპეციალისტების გადაბირება, კონცურრენციების მიმართ ყოველგვარი დაზვერვა, მთავრობის სუბსიდიების გარშემო ბრძოლა, კონტრაქტები, მთავრობის მნიშვნელოვანი პოსტები და სხვ.

მონოპოლისტური კონცერნცია მსხვილი კონცერნების მიერ გამოიყენება მაღალი და მყარი მოგების მისაღებად. „მონოპოლია, — წერს ვ. ი. ლენინი, — იძლევა ზემოგებას, ე. ი. ნორმალურზე... გადამეტებულ მოგებას.“

ასე მაგალითად, 1947—1955 წწ. მოგების საშუალო წლიური ნორმის პირობებში აშშ დამშენებელი მრეწველობის 14,8%-დან 22 უმსხვილესმა კონცერნმა მიიღო მოგების წლიური საშუალო ნორმის 22,1%. მათ შორის „გენერალ მოტორზმა“ — 51%, „ენერგეტიკური ელექტრიკია“ — 36,7%, „დიუპონ დე მურმა“ — 33,8%, „სტრინ კოდაქტა“ — 30,2%, „რუსიონ კარბაიდ ენდ-კარბონმა“ — 25,3%, „იუნაიტედ სტერლს სტალმა — 18,3%. და სხვ.

შემდეგ წლებში ეს მონაცემები კიდევ უფრო გადადდა. მაგალითად, 1960—1970 წწ. მოგების საშუალო წლიური ნორჩის პირობებში აშშ-ის დამშეცვებელ მრეწველობაში 12,5%-დან 20 უმსხვილესმა კონცერნმა მიღლო მოგების საშუალოწლიური ნორჩი 17,1%. მათ შორის „ჯენერალ მოტორსმა“ 30,7%, „ჯენერალ ელექტრიკმა“ — 21,8%, „დიუპონ დე ნემურიმა“ — 19,6%, „ისტმენ კოდაკმა“ — 34,7%, „კარტირპილერ ტრაქტორმა“ — 28,7%, „ბოინგმა“ — 20,8%<sup>6</sup>.

არსებობს შემდეგი ძრითადი ტიპის კონცერნები. პირველი — ეს არის ისეთი კონცერნები, რომლებიც მთლიანად ფლობენ მასში გაერთიანებულ საწარმოებს; მეორე — ეს არის კონცერნები, რომლებშიც გაერთიანებული არიან ფორმალურად დამოუკიდებელი საქციო კომპანიები, რომელთა ეცემა-ბის საკონტროლო პაკეტი იმყოფება მეთაური კომპანიების მფლობელობაში და ახორციელებენ ხელმძღვანელობას და მთავრობას კონცერნზე<sup>7</sup>.

პირველი ტიპის კონცერნები უფრო მეტად გავრცელებულია აშშ-ი, მეორე ტიპის კი, ევროპის ქვეყნებში და იაპონიაში.

საერთოდ ამერიკას სინაშვილები უფრო მეტად კონცერნებია გავრცელებული. ამასთან ბევრი მათგანი მულტიმილიონწერი და მულტიმილიასტერია. ასეთი კონცერნები ამერიკის შეირთებულ შტატებში 1974 წელს იყო სულ 24, რომელთა ბრუნვის მოცულობა საშუალოდ 5 მლრდ ლოდას უდრიდა. 11 მათგანის ბრუნვა 10 მლრდ ლოდას უდრიდა. მილიარდერების კლუბის შევრები იყვნენ 1974 წელს 11 ნავთობის კონცერნი, 4 ელექტრონურექნიერის და ელექტრონის კონცერნი, 3 ავტომობილის. 2 ქიმიური, ამდენივე ფოლადის და 1 კონგლომერატი.

ომის შემდგომში მოვლენებში კაპიტალიზმის ეკონომიკურ განვითარებაში, კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ახალმა ფორმებმა, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ და სხვ., რომელებმაც წარმოშვერს მონაბოლისტურ გაერთიანებათა ახალი ფორმები, სათანადო გავლენა მოახდინა ტრესტების საქმიანობაზეც, შეიტანა მასში სათანადო ცელილებები, თუმცა ტრესტები მონაბოლიების ყველაზე უფრო მაღალ ფორმას ახლაც წარმოადგენერ. ტრესტს ახსიათებს ნდობით აღჭურვილ პირთა მიერ ქონების და საქმიანობის წარმართვა, მისი სახელწოდებაც „Trust“ აქვთან წარმოსდგება. ეს სახელწოდება ჯერ კიდევ საქციო საზოგადოებრივ მოდის, როცა ამ საზოგადოებების დირექტორები თავდაპირველად გამოიწინენ, როგორც აქციონერთა ნდობით აღჭურვილი პირები. შემდეგში, Trust-ი გამოხატვდა კაპიტალისტთა შეთანხმებას, ანუ გაერთიანებას, კონკურენციის შეზღუდვის ან რეგლამენტაციის ან სასაქონლო ფასების ფიქსაციის ან მათი გადაზის მიზნით. ამ გავებით ტრესტი ემსგავსება კარტელს, მით უფრო, რომ კარტელი და ტრესტი არსდებოდნენ და რამდენადმე ახლაც ფუნქციონირებენ პორტფოლიური პრინციპის მიხედვით, ე. ი. ერთნაირი საპოლო პორტფოლიების წარმოებით და ვაჭრობით. გარდა ამისა, საწარმოები, რომელიც ტრესტში შედიან წარმოებისა და გასაღების მხრივ ინარჩუნებენ ატონომიურა ერთეულების ფორმას, მიუხედავად ამისა, მათ ერთმანეთისაგან

